დადგენილება:**დ-37. 3724237001**
თარიღი:**24/08/2024**

დადგენილება N12

2024 წლის 22 აგვისტო

ქ. ოზურგეთი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1. შეტანილი იქნას ცვლილება ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის N20 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 28/12/2023, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.113.016504), კერძოდ:

- გაიზარდოს სულ შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში **4 350 811 ლარით:**

1. გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში საგადასახადო შემოსავლები, კერძოდ, ქონების გადასახადი **(ორგანიზაციული კოდი 113) – 300 000 ლარით.**

2. გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში სხვა შემოსავლები **255 000** ლარით;

ა) შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (ორგანიზაციული კოდი 145) – **200 000** ლარით;

ბ) შემოსავლები პროცენტებიდან **(ორგანიზაციული კოდი 1411) – 55 000 ლარით.**

3. 2024 წლის 5 აგვისტოს #1101 განკარგულებით შევიდა ცვლილება 2023 წლის 28 დეკემბრის საქართველოს მთავრობის #2400 განკარგულებაში ,,სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“, რომლის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო **1 500 000** (ერთიმილიონ ხუთასი ათასი) ლარი.

4. 2024 წლის 23 ივლისის #1025 განკარგულებით ,,მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **495 811** (ოთხას ოთხმოცდათხუთმეტიათას რვაას თერთმეტი) ლარი.

5. დაზუსტდეს ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ'' ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 ოქტომბრის #53 დადგენილების მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის და საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილი თანხების ასახვა, კერძოდ:

ა) საქართველოს მთავრობის 2024 წლის 29 ივლისის #1060 განკარგულებით ცვლილება შევიდა 2023 წლის 28 დეკემბრის საქართველოს მთავრობის #2402 ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ განკარგულებაში, რომლის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 1800000 (ერთიმილიონ რვაასი ათასი) ლარი ინფრასტრუქტურული ღონისძიებებისათვის.

- გაიზარდოს შემოსავლები:

ა) კაპიტალური ტრანსფერები **(პროგრამული კოდი 1.3.3.2.1.1.2.) – 1 800 000 ლარით;**

- გაიზარდოს გადასახდელები:

ა) გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია, არაფინანსური აქტივების ზრდა, გზები **(ორგანიზაციული კოდი - 02 01 02– 31.1.1.5.) – 1 397 467 ლარით;**

ბ) სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია, არაფინანსური აქტივების ზრდა **(ორგანიზაციული კოდი - 02 03 01– 31.1.1.11) – 53 871 ლარით;**

გ) საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების რეაბილიტაცია, არაფინანსური აქტივების ზრდა, გზები **(ორგანიზაციული კოდი - 02 03 02– 31.1.1.11.) – 348 662 ლარით.**

- გაიზარდოს:

6. 2024 წლის 5 აგვისტოს #1101 განკარგულებით გამოყოფილი თანხით, სტიქიის პრევენცია და შედეგების ლიკვიდაცია, არაფინანსური აქტივების ზრდა **(ორგანიზაციული კოდი - 02 10 – 61.1.1.11.) – 1 500 000 ლარით;**

7. 2024 წლის 23 ივლისის #1025 განკარგულებით გამოყოფილი თანხით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, არაფინანსური აქტივების ზრდა **(ორგანიზაციული კოდი - 02 09 – 61.1.1.11.) – 495 811 ლარით;**

8. საკუთარი შემოსავლებიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, არაფინანსური აქტივების ზრდა **(ორგანიზაციული კოდი - 02 09 – 61.1.1.11.) – 450 000 ლარით;**

9. საკუთარი შემოსავლებიდან სატრანსპორტო კომპანია, სუბსიდია **(ორგანიზაციული კოდი - 02 08 – 2.5.) – 100 000 ლარით;**

10. საკუთარი შემოსავლებიდან კულტურის ობიექტების დაფინანსება, ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა, სუბსიდია **(ორგანიზაციული**

კოდი - 05 02 04 – 2.5.) – 5 000 ლარით;

- შემცირდეს:

11. სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა (**ორგანიზაციული კოდი - 03 02 01 – 2.5.) – 10 000 ლარით;**

12. „შემოქმედებითი ოზურგეთი“ (**ორგანიზაციული კოდი - 05 03 01 – 2.2.) – 50 000 ლარით;**

13. ონკოლოგიური დაავადების მქონე პირების დახმარება (**ორგანიზაციული კოდი - 06 01 04 – 2.7.) – 50 000 ლარით;**

14. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება (**ორგანიზაციული კოდი - 06 02 04 – 2.7.) – 50 000 ლარით;**

- შესაბამისად გაიზარდოს:

15. გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია (**ორგანიზაციული კოდი - 02 07 03 – 2.5.) – 10 000 ლარით;**

16. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა **(ორგანიზაციული კოდი - 02 06 02 – 2.8.2.2.) – 150 000 ლარით.**

მუხლი 2. დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი